# .GE დომენის ადმინისტრირებისა და მართვის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი

(1) **ინტერნეტ საზოგადოების საქართველოს განყოფილება (Georgia Chapter of the Internet Society)**, არარეგისტრირებული კავშირი, რომელიც არაკომერციული მიზნებისათვის შეიქმნა და მოქმედებს საქართველოში, როგორც საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის, ინტერნეტ საზოგადოების (Internet Society), საქართველოს განყოფილება („**ISOC საქართველო**"), რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა სანდრო ქარუმიძე;

*და*

(2) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „**კავკასუს ონლაინი**", რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საიდენტიფიკაციო კოდით 211380833 (შემდგომში „**ონლაინი**" ან „**ადმინისტრატორი**")

შემდგომში, თითოეული ცალ-ცალკე წოდებული „მხარედ", ხოლო ერთობლივად - „მხარეებად",

**აღიარებენ რა,**

1.1 **ონლაინის** ექსკლუზიურ უფლებას აწარმოოს **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** დომენური სახელების რეესტრი და მოახდინოს მისი ადმინისტრირება საქართველოს კანონმდებლობის, ICANN-სა და **ონლაინს** შორის გაფორმებული შეთანხმების და იმ საერთაშორისო სტანდარტების და დამკვიდრებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რომლებიც საზოგადოდ აღიარებულია მოცემულ სფეროში;

1.2 **ონლაინის** ძალისხმევას მაქსიმალურად ღია პროცესის შედეგად მოხდეს **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** ადმინისტრირების, მართვისა და რეგისტრაციის რეგულაცია;

1.3 საქართველოში ინტერნეტ საზოგადოების, მათ შორის სახელმწიფოს, **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** ადმინისტრირების, მართვისა და რეგისტრაციის პროცესში ჩართული და დაინტერესებული პირების ინტერესს უზრუნველყოფილი იყოს **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** გამოყენების სფეროში და ზოგადად ინტერნეტის გამოყენების სხვადასხვა სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობა, კონკურენტული გარემო და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, დაინტერესებულ პირთა (stakeholders) ინტერესების დაბალანსებულად გათვალისწინება, მაქსიმალური თვითრეგულირების საფუძველზე;

**თანხმდებიან .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის რეგულირებასთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობაზე, შემდეგი პირობებით:**

## II. ტერმინთა განმარტება

2.1 „ადმინისტრატორი“ - ნიშნავს ონლაინს იმ ფარგლებში რა ფარგლებშიც ონლაინი ადმინისტრირებას უწევს .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენს და აწარმოებს დომენური სახელების რეესტრს.

2.2 „დომენის რეგულაცია“ - ნიშნავს ონლაინის მიერ 2018 წლის 15 მარტს დამტკიცებულ .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს.

2.3 „ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენი“ (ccTLD- country code Top Level Domain) - ნიშნავს .GE ქვეყნის კოდის აღმნიშვნელ ზედა დონის დომენს, რომელიც აღიარებულია საქართველოს მიერ.

2.4 „მეორე დონის დომენი“ (SLD – Second Level Domain) - ნიშნავს ნიშანს ან ნიშნების კომბინაციას, რომელიც მდებარეობს GE დაბოლოების მარცხენა მხარეს და მისგან გამოყოფილია წერტილით.

2.5 „დომენური სახელი“ - (დომენი) ნიშნავს იდენტიფიცირების ნიშანს და შედგება:

(i) .ge დაბოლოების დომენისგან და მის მარცხნივ მდებარე, წერტილით გამოყოფილი მეორე დონის დომენისგან (მაგალითად, [--].ge); ან

(ii) .ge დაბოლოების დომენისგან და მის მარცხნივ მდებარე, წერტილით გამოყოფილი ზოგადი დომენისგან (მაგალითად, [--].com.ge).

2.6 „IP მისამართები“ - ნიშნავს რიცხვთა კომბინაციას, რომელიც ერთდროულად აიდენტიფიცირებს კომპიუტერს (ან სხვა ქსელურ მოწყობილობას, რომელიც იყენებს ინტერნეტ პროტოკოლს) საყოველთაოდ გამოყენებულ მონაცემთა კომუნიკაციის ქსელში.

2.7 „სახელის სერვერი“ - ნიშნავს კომპიუტერს, რომელიც იმახსოვრებს და აგზავნის დომენურ სახელთან და შესაბამის IP მისამართებთან დაკავშირებულ შეტყობინებებს საყოველთაოდ გამოყენებულ მონაცემთა კომუნიკაციის ქსელში.

2.8 „რეგისტრანტი“ - ნიშნავს პირს, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული დომენური სახელი.

2.9 „რეგისტრატორი“ - ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრატორის ხელშეკრულების შესაბამისად უწევს სარეგისტრაციო მომსახურებას რეგისტრანტებს.

2.10 „სარეგისტრაციო მომსახურება“ - მოიცავს რეგისტრანტის განაცხადის შესაბამისად რეგისტრანტისთვის გაწეულ შემდეგ მომსახურებებს:

1) დომენური სახელის რეგისტრაცია;
2) რეგისტრაციის განახლება;
3) რეგისტრატორის ცვლილება;
4) საკონტაქტო ინფორმაციის განახლება;
5) სახელის სერვერის ჩანაწერების ადმინისტრირება.

2.11 „რეგისტრაცია“ - ნიშნავს, რეგისტრანტის მოთხოვნისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე სარეგისტრაციო ჩანაწერის შექმნას დომენური სახელების რეესტრში, რომლის საფუძველზეც შესაბამისი დომენური სახელი რეგისტრირდება შესაბამისი რეგისტრანტის სახელზე.

2.12 "**რეგისტრატორის ხელშეკრულება**" - ნიშნავს **სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევის უზრუნველსაყოფად **ადმინისტრატორსა** და **რეგისტრატორს** შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

2.13 „**დომენური სახელის რეგისტრაცია**" - ნიშნავს პროცესს, რომელსაც უფლებამოსილი პირი დომენური სახელის მიღების მიზნით გაივლის **დომენის რეგულაციის** მიხედვით.

2.14 „**საკონსულტაციო საბჭო**" - ISOC **საქართველოს** ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო საბჭო, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მემორანდუმის 5.1 მუხლში.

## III. .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის მართვისა და ადმინისტრირების პრინციპები

3.1 **ადმინისტრატორი** განახორციელებს **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვასა და ადმინისტრირებას ინტერნეტ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით აღიარებული შემდეგი პრინციპების დაცვით:

1) **თვითრეგულირება და დამოუკიდებლობა: .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვასა და ადმინისტრირებას **ადმინისტრატორი** ახორციელებს საქართველოში ინტერნეტ ბაზრის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, აგრეთვე, დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაბალანსებით, რომელიმე ცალკეული ჯგუფის გავლენისა და დისკრიმინაციის გარეშე.

2) **სტანდარტები და მომავალზე ორიენტირებულობა:** დომენური სახელის სისტემისა და რეგისტრაციის მომსახურების მაღალი ხარისხის, დაცულობის, სტაბილურობისა და მდგრადობის **რეგისტრატორებისა** და **ადმინისტრატორის** მიერ უზრუნველყოფის მიზნით **ადმინისტრატორი** მიიღებს შესაბამის ზომებს. **ადმინისტრატორი** არ შეაფერხებს და უზრუნველყოფს დომენური სახელის სისტემის მოქნილობას რათა ხელი არ შეეშალოს ბაზრისა და ტექნოლოგიურ განვითარების შედეგად სიახლეების დანერგვას ბაზრის ამ სეგმენტში.

3) **კონკურენცია: ადმინისტრატორი** თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს კონკურენციის განვითარებასა და მომხმარებელთა (რეგისტრანტთა) არჩევანის მრავალფეროვნებას .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** ბაზარზე.

4) **დაინტერესებული პირების ჩართულობა: ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს, წინამდებარე **მემორანდუმით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვისა და ადმინისტრირების პროცესში ISOC **საქართველოს** მეშვეობით საქართველოში ინტერნეტ საზოგადოებაში არსებულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობას, ხოლო ISOC **საქართველო, საკონსულტაციო საბჭოს** ფორმატში, უზრუნველყოფს ამ პროცესში

დაინტერესებულ პირთა და დარგის სპეციალისტთა შეკრებასა და მათ დაბალანსებულ მონაწილეობას.

5) **გამჭვირვალობა:** .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვისა და ადმინისტრირების პროცესში **ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას.

6) **უფლებების დაცვა:** .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვისა და ადმინისტრირების პროცესში **ადმინისტრატორი** პრიორიტეტულად მიიჩნევს საკუთრების (მათ შორის, ინტელექტუალური) უფლების, პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას.

7) **სისტემის მდგრადობა და უსაფრთხოება: ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** ადმინისტრირებისათვის საჭირო ტექნიკური სისტემის მდგრადობისა და უსაფრთხოებისათვის სავალდებულო ზომების გატარებას.

## IV. ადმინისტრატორისა და ISOC საქართველოს თანამშრომლობის ძირითადი პირობები

4.1 **მხარეები** აცხადებენ, რომ .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვისა და ადმინისტრირების ღიად და გამჭვირვალედ განხორციელების მიზნით, **ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს საქართველოს ინტერნეტ საზოგადოებაში არსებულ დაინტერესებულ პირთა ჩართულობას .GE **ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** მართვისა და ადმინისტრირების პროცესში ISOC **საქართველოს** ფარგლებში ჩამოყალიბებულ **საკონსულტაციო საბჭოსთან** თანამშრომლობით, ამ **მემორანდუმით** დადგენილი პირობების შესაბამისად.

4.2 **დომენის რეგულაციის** შემუშავებისა და ცვლილების პროცესში **ადმინისტრატორი** წინასწარ გააცნობს მათ შინაარსს **საკონსულტაციო საბჭოს,** ხოლო ეს უკანასკნელი ამ საკითხებზე შეიმუშავებს არგუმენტირებულ, კონკრეტულ წერილობით რეკომენდაციებს საჯარო განხილვის პროცესის შედეგად და დროულად, არაუგვიანეს **ადმინისტრატორისაგან** წერილობითი პროექტის მიღებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, გაუზიარებს მას **ადმინისტრატორს.** ამ მუხლის მიზნებისათვის მხარეებს შორის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, შეტყობინების შინაარსი უნდა იყოს ნათლად და სტრუქტურირებულად გადმოცემული, ხოლო **დომენის რეგულაციაში** შესატანი ცვლილებების თაობაზე მოსაზრების შემთხვევაში, შესაბამისი არგუმენტაცია მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ.

4.3 **ადმინისტრატორი** კისრულობს ვალდებულებას თავისი ვებ-გვერდის, რომელზეც განთავსებულია **დომენის რეგულაცია,** შესაბამის განყოფილებაში განათავსოს და რეგულარულად განაახლოს შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:

1) მონაცემები .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის გამოყენების შესახებ: **რეგისტრანტების ჯამური** რაოდენობა და მათი ზოგადი მახასიათებლები (ფიზიკური / იურიდიული პირი, იურისდიქცია), ახალი, განახლებული და შეწყვეტილი **დომენური სახელების ჯამური** სტატისტიკური მონაცემები;

2) საჩივრებისა და პრეტენზიების შესახებ ყოველწლიური ინფორმაცია; და

3) დამატებითი სტატისტიკური ინფორმაცია კონკრეტული **რეგისტრატორების** შესახებ, ვინც ამაზე წინასწარ განაცხადებს თანხმობას, კერძოდ ინფორმაცია **რეგისტრანტების** რაოდენობის შესახებ და მათი ზოგადი მახასიათებლები (ფიზიკური / იურიდიული პირი, იურისდიქცია), ინფორმაცია **რეგისტრანტების** მიგრაციის შესახებ (როგორც მიღებული ისე სხვასთან გადასული).

4.4 **ადმინისტრატორი** მიაწოდებს **საკონსულტაციო საბჭოს** დეტალურ ინფორმაციას ისეთი განცხადებების, საჩივრისა თუ პრეტენზიის შესახებ, რომელთა გადაწყვეტა **ადმინისტრატორის** შეხედულებით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა **დომენის რეგულაციის** გამოყენების (მათ შორის მისი რომელიმე პირობის განმარტების, ან არსებული პირობის შინაარსის ორაზროვნების გაქარწყლების) თვალსაზრისით. შესაბამისად, **ადმინისტრატორი** გადაწყვეტილებას მიიღებს და პასუხს გასცემს შესაბამის პირს, მხოლოდ **საკონსულტაციო საბჭოსგან** შესაბამისი მოსაზრების / რეკომენდაციის მიღების შემდეგ.

4.5 **ადმინისტრატორი, ISOC საქართველო** და **საკონსულტაციო საბჭო** ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, გაცვლიან ინფორმაციას და გასწევენ გონივრულ ძალისხმევას რათა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ერთმანეთს:

1) ICANN-თან ურთიერთობაში მხარდაჭერასა და ICANN-ის ფორუმებში მონაწილეობისას პოზიციების შეჯერებასა და გაცვლაში;

2) ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით;

3) ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობასა და ჩართულობასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება ან გავლენას ახდენს **.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის** ბაზრის სეგმენტზე;

4) ოპერატიული საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის (და არამხოლოდ) როგორიცაა დანაშაულისა და სხვა ინციდენტების გამოძიება, სპამის, ფიშინგის, ვირუსების, და სხვა არასანქცირებული მოქმედებების პრევენცია, **რეგისტრანტების, რეგისტრატორების** და სამართლებრივი ინტერესის მქონე სხვა პირების საჩივრებთან თუ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

4.6 **საკონსულტაციო საბჭოს** უფლება აქვს გამოხატოს თავისი რეკომენდაციები **ადმინისტრატორის** ან რომელიმე **რეგისტრატორის** არსებულ პოლიტიკასა თუ სტრატეგიაზე, **სარეგისტრაციო მომსახურებასთან** დაკავშირებით, **დომენის** **რეგულაციით** განსაზღვრულ პირობებთან დაკავშირებით (მათ შორის და არამხოლოდ საჩივრებისა და პრეტენზიების და სტატისტიკური მონაცემების

გათვალისწინებით არსებული მდგომარეობის შესახებ) და ამის თაობაზე წერილობით აცნობოს **ადმინისტრატორს. საკონსულტაციო საბჭოს** რეკომენდაციები და მოსაზრებები შეიძლება ეხებოდეს როგორც **ადმინისტრატორს,** ასევე **რეგისტრატორებსა** და **რეგისტრანტებს. საკონსულტაციო საბჭოს** უფლებამოსილებაში არ შედის **ადმინისტრატორის** მიერ დადგენილი რაიმე ფინანსური პირობის რაიმე სახითა თუ ფორმით განხილვა, ნებისმიერი სახის ფინანსური ინფორმაციის მოთხოვნა ან/და ასეთ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება.

4.7 **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია გაითვალისწინოს, ან/და მოსთხოვოს **რეგისტრატორებსა** და **რეგისტრანტებს** გაითვალისწინონ, **საკონსულტაციო საბჭოსგან** მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

4.8 ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ ამ **მემორანდუმით** განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მათ შორის კორესპონდენცია შეიძლება გასაჯაროვდეს ნებისმიერი მხარის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ **ადმინისტრატორი** არ ითვალისწინებს ან ნაწილობრივ ითვალისწინებს **საკონსულტაციო საბჭოს** მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს იგი წერილობითი ფორმით, 15 სამუშაო დღის ვადაში არგუმენტირებულ პასუხს გაუგზავნის ამის თაობაზე **საკონსულტაციო საბჭოს.**

## V. დაინტერესებული პირების ჩართულობა ISOC საქართველოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში

5.1 **საკონსულტაციო საბჭოს შექმნა.** წინამდებარე მემორანდუმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ISOC **საქართველო** უზრუნველყოფს **საკონსულტაციო საბჭოს** შექმნას თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში („**საკონსულტაციო საბჭო**") და შეიმუშავებს მისი მუშაობის წესსა და პროცედურას. **საკონსულტაციო საბჭო** იქმნება სპეციალურად ამ **მემორანდუმით** განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და მისი ფუნქციები და რესურსები მხოლოდ ამ **მემორანდუმით** განსაზღვრული პირობების შესრულებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

5.2 **საკონსულტაციო საბჭოს წევრობა და ინტერესთა ბალანსი. საკონსულტაციო საბჭოში** დაბალანსებულად წარმოდგენილი უნდა იყვნენ დაინტერესებულ პირთა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შემდეგი ჯგუფები:

1) რეგისტრატორები;
2) ინტერნეტ სერვისის, ვებ-ჰოსტინგის და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერები;
3) სახელმწიფო ორგანოები;
4) არასამთავრობო ორგანიზაციები;
5) მომხმარებელთა უფლებების/ინტერესების დამცველები.

რეკომენდირებულია **საკონსულტაციო საბჭოში** დაცული იყოს გენდერული ბალანსი და განსახილველი საკითხის შესაბამისად შეხვედრებზე წარმოდგენილი იყოს შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ექსპერტ(ებ)ი.

5.3 **საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრები. საკონსულტაციო საბჭოს** შეხვედრები უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი და ღია დაინტერესებული პირებისათვის. **ადმინისტრატორის** წარმომადგენლებს უფლება უნდა ჰქონდეთ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ (ხმის უფლების გარეშე) **საკონსულტაციო საბჭოს** ნებისმიერ შეხვედრაში. **საკონსულტაციო საბჭოს** შეხვედრები უნდა გაიმართოს დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით, ისე რომ **საკონსულტაციო საბჭოში** წარმოდგენილ დაინტერესებულ პირთა თითოეულ ჯგუფს გააჩნდეს მონაწილეობის და გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უფლება და ამავდროულად გათვალისწინებული იყოს ინტერესთა კონფლიქტის დადგენისა და განეიტრალების სხვადასხვა მექანიზმი. ISOC **საქართველო** უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების ოქმის წერილობითი ფორმით შედგენას და მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. შეხვედრების ოქმი სრულად უნდა ასახავდეს დამსწრეთა ვინაობასა და სტატუსს (დაინტერესებულ პირთა რომელ ჯგუფს წარმოადგენენ და ა.შ.), შეხვედრის მსვლელობას, მონაწილეთა და დამსწრეთა გამოთქმულ მოსაზრებებს და შეხვერის შედეგებს (რეკომენდაციებს, არგუმენტებს და სხვა).

5.4 **ინფორმაციის საჯაროობა.** გამჭვირვალობისა და ღიაობის უზრუნველყოფის მიზნით **საკონსულტაციო საბჭოს** მუშაობის წესი და პროცედურა, ყველა შეხვედრის ოქმი და კომუნიკაცია (მათ შორის მესამე პირებთან) უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ინტერნეტ საიტის მეშვეობით.

## VI. დავების მოგვარება

6.1 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარეს მიაჩნია, რომ მეორე მხარე არ ასრულებს ამ მემორანდუმით განსაზღვრულ პირობებს, ასეთი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება სადაც აღწერილი იქნება მისი პოზიცია მეორე მხარის მოქმედებასთან დაკავშირებით. ასეთი შეტყობინების სრული ტექსტი საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

6.2 წინა პუნქტის მიხედვით შეტყობინების მხარისათვის ჩაბარების შემდეგ, მხარეები ვალდებული არიან გონივრულად მოკლე ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს, გამართონ ერთმანეთთან კონსულტაციები და მიიღონ გადაწყვეტილება სადავო საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი განხილვისა და გადაწყვეტილების შინაარსი და ინფორმაცია სრულად უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

6.3 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარეს სურს დავის მოგვარებაში ჩართოს მიუკერძოებელი და შესაბამისი კომპეტენციის მქონე მედიატორი, მაშინ მეორე მხარეს უფლება არ აქვს გონივრული უარი თქვას ასეთ მოთხოვნაზე და ვალდებულია კეთილსინდისიერად მიიღოს მონაწილეობა მედიაციაში.

6.4 მხარეებს შორის დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება, მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ასეთი შეტყობინების შინაარსი სრულად უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

VII. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ სანამ შპს „კავკასუს ონლაინი" არის **ადმინისტრატორი.**

7.2 წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერ მხარეს ცალმხრივად, მეორე მხარისათვის 1 (ერთი) თვიანი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

7.3 წინამდებარე მემორანდუმის ტექსტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

7.4 **ადმინისტრატორი** და **ISOC საქართველო** ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობა ნებაყოფლობითია და არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე რომელიმე მხარისათვის.

7.5 **საკონსულტაციო საბჭოს** საქმიანობის დაფინანსებას 2018 წლის ბოლომდე უზრუნველყოფს **ISOC საქართველო** თავისი სახსრებით, ხოლო შემდგომ პერიოდისთვის **ადმინისტრატორი** და **საკონსულტაციო საბჭო** ერთობლივად შეიმუშავებენ დაფინანსების მოდელს.

მხარეთა ხელმოწერები:

ISOC საქართველო

____________________

თარიღი: 30. 5. 2018 ([illegible] ISOC-[illegible]) (ISOC - Georgia)

კავკასუს ონლაინი

____________________

თარიღი: 08.06.2018